



ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2015

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაპევვა დაუშვებელია!

ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ტესტის მაქსიმალური ქადაგი - 80.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის III ნაწილში მოცემული ზოგიერთი დავალების (№№3-17) შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უკრედები მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უკრედიტული შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უკრედიტული შეცდომა შეცდომით გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეცდომით გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (№1 ან №2) და უნდა შესასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჰერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.

ყველა დავალების ბოლოს ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია ადგილი შავი გარიანტის დასაწერად.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომლის პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დაგალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშროვი არ გასწორდება!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

უკრაფლებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაანწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ ოქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თოთოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადაღებას, ნაშრომი არ შევაძლება.

მარიამ ორბელიანი დაიბადა 1852 წელს. მამამისი, პოეტი ვახტანგ ორბელიანი თეატრალური მიშვილის უმცროსი ვაჟი გახდათ. მარიამმა განათლება ოჯახში მიიღო და შეისწავლა არაერთი ეკრაპული ენები. 1886 წელს დაარსდა მასწავლებელ ქალთა საზოგადოება რომელიც მიზნად ისახავდა პედაგოგიურ საქმიანობაში ქალთა ჩაბმას. მარიამი აქტუალურად იბრძოდა პედაგოგ ქალთა უფლებების დასაცავად. მისი ინიციატივით შეიქმნა დარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება, რომლის მხარდაჭერითაც მარიამმა წამოიწყო ზრუნვა ქალთა სკოლის გახსნაზე. მან ექვსი წლის განმავლობაში შესძლო, რომ ათი ათასი მანეთი შეეგროვებია. ამის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ფორმალურ მხარის მოსაგვარებლად და, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად 1906 წელს მოხდა ქალთა პირველი ქართული სკოლის გახსნა. გარდა ამისა მარიამი იყო ბავშვებზე ზრუნვის საზოგადოების დამფუძნებელი წევრი. მან თამარ ჭავჭავაძესთან ერთად დაარსეს კომიტეტი, რომელიც ალისანოვანარსკის მიერ გურიის აოხრების შედეგად დაზარალებულ გლეხთა დახმარებას ისახავდა მიზნად.

მარიამ ორბელიანი იყო „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელთაგანი და მისი ნამდვილი წევრი. მან განსაბუთრებული დგაწლი შეიტანა სამუსიკო განათლების საქმეში, კერძოდ იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა სამუსიკო სასწავლებელის კომიტეტში. სწორედ ამ სასწავლებელს დაეფუძნა შემდგომში თბილისის კონსერვატორია. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ისეთ მნიშვნელოვან საქმეში როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაა. მარიამ ორბელიანი გარდაიცვალა 1941 წელს.

შავი სამუშაოსათვის

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბავშვის აღზრდისას სიმკაცრის გამოხენა უკეთესი შედეგის მომტანია, ვიდრე მის მიმართ რბილი და ლოიალური დამოკიდებულება.

အရွက်များနှင့်ပို့ဆောင်ရွက်ခွဲ့ဖြစ်လေ့ရှိခဲ့သူများ၏ အမြတ်ဆုံး အကြောင်းအရာများ

გაანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცვით სალიტერატურული ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენი მხჯელობა შემოიფარგლება თოხი-ხუთი წინადაღებით, ნაშრომი არ გასწორდება.

შავი სამუშაოსათვის

III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ დავით გურამიშვილის „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“:

1. „ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვნებელი შენ მათი წამწყმენდლად მიგიჩნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
2. ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
დგთის საიდუმლო გაგტეხეს, გულში ვერ დაგიტიესო,
ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს, ისიც კი დანაბნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
3. ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შეგიპყრეს თვისი დამხსნელი, საბელი მოგახვიესო;
მაგრა შეგიკრეს ხელები, უფალსა არა გთნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
4. ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ავაზაკზედა გაგვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო;
ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძლეს, გაგათრიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
5. ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ფრჩხილთა გიყარეს ლერწამი, ნუნები აგატკიესო,
ყვრიმალს გცეს თვალებ-აკრულსა, გკითხეს: ვინ გცემა, თქვი ესო?
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
6. ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბრალი ვერ გჰოეს, დაგსაჯეს, პილატე მოგისიესო;
ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
7. ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ხელ-დაბანილთა შოლტით გცეს, მსხვერპლს სისხლი შეურიესო,
დაგადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიგიწვიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
8. ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შესამოსელი გაგხადეს, ქლამინდი მოგახვიესო,
ჯვარზედ გაგაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსმანი გაგიწიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
9. ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
წყალი ითხოვე, მოგაროვეს, ძმარში ნაღველი რიესო;
წმინდასა შენსა საღმრთოსა გვერდსა ლახვარი მიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
10. ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
მოგქლეს უბრალო, ბრალითა ქვეყანა შეარყიესო;
მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო,
თაგს კრეტსაბმელი განაპეს, ბოლომდე შუა ხიესო.
11. ჯვარით გარდმოგხსნეს, წაგგრაგნეს, ტილოში წაგახვიესო,
დაგმარსეს, მკვდარსაც არ გენდვნენ, გარს მცველი შემოგხვიესო.
პქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!..
12. ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა, ავი რა შეგაჩნიესო?
მკვდარს აღუდგენდი, კურნევდი კეთროანს, წყალ-მანკიერსო;
ბრმას თვალთ უხელდი, ცისცისად არჩენდი ეშმაკიერსო.
13. უტყვეს ენას ძღვნიდი, ყრუს – სმენას, საპართა – სვლას შვენიერსო,
პურს მცირეს დიდად, წყალს ღვინოდ უქცევდი, – ჭამე, სვი ესო.
ამის მეტს არას ეტყოდი: ესევდით დმერთს ზეციერსო!

მშვიდად ცხოვრებდით, ნუ უზამთ ერთმანეთს თქვენ უდიერსო!

14. გაიკითხევდით გლახაკთა, ასმევ-აჭმევდით მშიერსო,
რასაც კეთილს იქმთ, ღმერთი თქვენ მოგაგებსთ მის მაგიერსო!
ორსავ გზას წრფელს წინ უდებდი: ხორციელს და სულიერსო.
ამის სანუფქოდ შენ მათა სიკვდილსა შეგამთხვიერსო!
15. პქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იქსო!
პქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იქსო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იქსო!“

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა
მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი
პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების
ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 3. რას ნიშნავს საჩინო?

- ა) სხვათაგან გამორჩეულს.
ბ) სხვათაგან შერისხულს.
გ) სხვათა მიმბაძველს.
დ) სხვათა მსგავსს.

(1) 4. რა არის I სტროფის ძირითადი აზრი?

- ა) საზოგადოება გარეშე ძალამ აიძულა დაეგმო მაცხოვარი.
ბ) საზოგადოებამ გაიაზრა მაცხოვრის მოძღვრების არსი.
გ) საზოგადოებამ ვერ შეიცნო ქრისტეს მოძღვრების არსი.
დ) საზოგადოება მოთმინებით დაადგა სულის ცხონების გზას.

(1) 5. რომელ სტრიქონშია გამოყენებული ტროპული მეტყველება?

- ა) „ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო“.
ბ) „ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს, გაგათრიესო“.
გ) „ფრჩხილთა გიყარეს ლერწამი, ნუნები აგატკიესო“.
დ) „დვოთის საიდუმლო გაგტეხეს, გულში ვერ დაგიტიესო“.

(1) 6. საზოგადოების რომელ თვისებაზე მიუთითებს სტრიქონი: „ავაზაპზედა გაგცვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო“?

- ა) საზოგადოება გულგრილია ყოველგვარი დანაშაულის მიმართ.
ბ) საზოგადოებას არ შეუძლია ავისა და კარგის გარჩევა.
გ) საზოგადოება ყოველთვის სწორად არჩევს ავსა და კარგს.
დ) საზოგადოებისათვის სიკვდილით დასჯა მხოლოდ სანახაობაა.

(1) 7. იქსოს მიმართ ჯალათების როგორი დამოკიდებულება ჩანს სიტყვებში: „ყვრიმალს გცეს თვალებ-აკრულსა, გკითხეს: ვინ გცემა, თქვი ესო...“?

- ა) გულგრილი.
ბ) თავაზიანი.
გ) მოწიწებული.
დ) ცინიკური.

(1) 8. რას ნიშნავს სიტყვები: „ბრალი ვერ გპოვეს, დაგსაჯეს...“?

- ა) ბრალის წაყენება დასჯას არ ნიშნავს.
ბ) დამნაშავე ყოველთვის უნდა დაისაჯოს.
გ) დანაშაული ჩაიდინე და ამიტომ დაგსაჯეს.
დ) სრულიად უდანაშაულო სასიკვდილოდ გაგიმეტეს.

(1) 9. დამსჯელთა რა თვისებები ჩანს VII სტროფში?

- ა) გულგრილობა და შემგუებლობა.
ბ) სამართლიანობა და კეთილგანწყობა.

- გ) სისასტიკე და დაუნდობლობა.
 დ) შემწენარებლობა და წინდახედულობა.
- (1) 10. **რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში:** „მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავი დააფრქვიესო“?
 ა) გაპიროვნება.
 ბ) ეპითეტი.
 გ) შედარება.
 დ) ჰიპერბოლა.
- (1) 11. **მაცხოვრის რა კონკრეტული თვისებებია გამოხატული სტრიქონში:** „ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო“?
 ა) დიდსულოვნება და მიმტევებლობა.
 ბ) მორჩილება და სიუხვე.
 გ) მჭევრმეტყველება და სიმშვიდე.
 დ) შორსმჭერებელობა და გულწრფელობა.
- (1) 12. **საზოგადოების რომელი მანკიერი თვისების შესახებ საუბრობს აგზორი XII სტროფში?**
 ა) მოშურნეობის.
 ბ) სიმხდალის.
 გ) უმადურობის.
 დ) წინდაუხედაობის.
- (1) 13. **კონკრეტულად რისკენ მოუწოდებს მაცხოვარი ადამიანებს სიტყვებით:** „ესევდით ღმერთს ზეციერსო...“?
 ა) სახელის მოსახვეჭად გაისარჯეთო.
 ბ) სულის საცხონებლად იშრომეთო.
 გ) უფლის იმედი იქონიეთო.
 დ) უფლის წინაშე ძრწოდეთო.
- (1) 14. **რით უპასუხა საზოგადოებამ იქსო ქრისტეს XIV სტროფის მიხედვით?**
 ა) გულგრილად მოექცა.
 ბ) დასაღუპავად გაწირა.
 გ) მოღალატედ შერაცხა.
 დ) ქვეყნიდან გააძევა.
- (1) 15. **რომელ სტრიქონშია გამოხატული მაცხოვრის კაცომოყვარეობა?**
 ა) „ამის სანუფქოდ შენ მათა სიკვდილსა შეგამთხვიესო!“
 ბ) „გაიკიოხევდით გლახაკთა, ასმევ-აჭმევდით მშიერსო“.
 გ) „დაგმარხეს, მკვდარსაც არ გენდვნენ, გარს მცველი შემოგხვიესო“.
 დ) „ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!“
- (1) 16. **რას ქადაგებდა მაცხოვარი ამ ტექსტის მიხედვით?**
 ა) ნუ უდალატებო ქვეყანას და თავგანწირვით დაიცავით სამშობლოს ინტერესები.
 ბ) ნუ უდალატებო ქვეყანას და ღმერთი სიკეთეს სიკეთითვე გადაგიხდით.
 გ) ნუ ჩაიდენო ბოროტებას და ღმერთი სიკეთეს სიკეთითვე გადაგიხდით.
 დ) ნუ ჩაიდენო ბოროტებას და ხმლით ხელში დაიცავით სამშობლო.
- (1) 17. **რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?**
 ა) ადამიანთა უმეცრების.
 ბ) სამშობლოს სიყვარულის.
 გ) სიკეთის ქმნის.
 დ) ღმერთის უარყოფის.

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პურიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღესატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იძღვნად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალბე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შევი სამუშაოსათვის რეკულემში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნაშუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ იხატება მაცხოვრის სახე მოცემულ ტექსტში (ყურადღება მიაქციეთ, რაზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი იესო ქრისტეს მოძღვრებიდან).
- იმსჯელეთ, როგორ ახასიათებს ავტორი საზოგადოებას.
- იმსჯელეთ, რომელ მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ ტექსტში და რა ფუნქცია ეკისრება მათ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ გიორგი ლეონიძის მოთხოვნის „ნატვრის ხე“:

დიაკვანი ელეფონი სადამო ხანს სოფლის მოედანზე იდგა და გლეხებში საუბარს გულს აყოლებდა.

ეს ის ელეფონია, რომელსაც სწორედ გასულ თვეს სცემეს კეტებით დღეობაში მოსულმა ჭირვებულმა სტუმრებმა – ელეფონი რათა გქვიანო! ამ ელეფონებზე იტყოდა სოფლის მღვდელი: ორი ელეფონი რომ მყავდეს, ერთს უსათუოდ ჩამოვაღრჩობდიო!

დიაკვანი ელეფონი დვინის კაცი უფრო იყო, ვიდრე სულისა, თავქვიფა, ლინიკო, დვინის ხაპია! წირვა-ლოცვაზე საღვთო წერილს სულ ულიმდამოდ, ლუდლუდით ჩაიკითხავდა, მაგრამ ფსალტების იმ ადგილს, სადაც წერია: „დვინო ახარებს გულსა კაცისასაო“, დიდი სიყვარულით, რისითა და ხმის ამაღლებით წარმოსოქვამდა.

შებინდებამდე მინდვრიდან ნახირი დაბრუნდა, ყველამ თავის საქონელს მიაშურა, სოფლის მოედანი დაცარიელდა. უსაქმო ელეფონის უდარიბესი გლეხი ელიოზიდა შერჩა ხელთ.

– მაშ, ეს კი არ იცი, შენ, მმაო, დაღონებულო? – მიმართა ელიოზს, – რომ ვეშა-წყარო უპავავების წყალია?!

დიაკვანმა გამვლელ გოგოს აბდიას სველი ლიტრა გამოგლიჯა ხელიდან და მიიყედა. ჯერ პირში წყალი დაიგემოვნა, მერე დაახრიალა, ახლა ზედიზედ იწაფა და კმაყოფილმა, ბედნიერებით მიბნედილმა, წყნარად თქვა: – ვაი, ჩემი თავი მოგიკვდეს და აღარა გყავდეს, თუ არ იცი, რა არის ვეშა-წყარო!

- სად არის ეს წყარო?
- თეთრობიანის მთებში!
- რის წამალია? – მორცხვად იკითხა ელიოზმა.

- წამალი კი არა უკვდავებაა!
 - უკვდავება რა არის?
 - სულ ცოცხალი იქნები!
- ელიოზი შეკრთა, უკან დაიხია.
- არა, არ მინდა! რათ მინდა, ამ ტანჯვასა და სიღარიბეში?
 - მერე და ვინ გაძლევს, შე საცოდავო! განა შენისთანებს მიესვლებათ ვეშა-წყაროსთან?! – და თვალები გადაუბრიალა.

დიაკვანი ელეფთერი განაწყენებული შესცემეროდა ელიოზს, დიდად გაკვირვებული, რომ ასეთი ბეჭედი და უხეში კაცი ნახა, რომელიც უარს ამბობს მის მიერ აღმოჩენილ უკვდავების წამალზე.

ტყუილად წყრებოდა დიაკვანი. წერილშვილი ელიოზი უსაშეელოდ დატაკი იყო.

– ისეთია, ისეთი, რომ მშიერი ძაღლი პურს არ გამოართმევს! – იტყოდნენ ხოლმე მეზობლები და მართლაც, უმამულო, უსარჩოო ელიოზის ჩამონგრეული მიწურის წინ მუდამ გუბე იდგა მწვანე ბუზებით სავსე... ძონები... ჩვრები... ჭუჭყი... შიმშილი... საზიზლარი სიღარიბის უკვდავება რათ უნდოდა საწყალ ელიოზს?

ნაზი გულის ადამიანი იყო ელიოზი და თან ცხარე მეოცნებე. ცხოვრების სისახტიკეს მის სულში ვერ ჩაექრო ოცნების ნაპერწალი და თავისივე შეთხულ უცნაურ ოცნებებით იფარავდა თავს მხეცივით შემოტეულ სინამდვილისაგან.

ჯერ ოქროკვერცხას, ოქროს მდებელ ქათამს ეძებდა ბუჩქნარებში, მერე დაეჟინა ნათელთევზას დაჭერა და მთელი დდები დაკარწახებული იდგა იორში: მოჩხრიკა, ამოხაპა იორი, დადალა ბადე, ჩანგალი; წყლის ტოტებიც დაწურა, ხელაობასაც გადააკვდა, მაგრამ არ იქნა, ნათელთევზა გერ იგდო ხელთ და ვერა!

ახლა გულში ჩაედო ხერევანდის ხისა, ანუ ნატვრის ხის ნახვა და მისი ნაყოფის ჭამა; ამ სურვილის ასრულება და მისი გამდიდრება ხომ ერთი იქნებოდა!

ელიოზს სწამდა: იანგრის სასტიკ ყინვიან დამეში, თუ შუადამისას მოხვდი ტყეში და თუ ცის გახსნას შეესწარ, მაშინ დაინახავ ტურფად აყვავილებულ ჯადოსნურ ხეს. არა მშევნიერება მას არა სჯობია! ის ხე, თურმე, ერთ საათში კიდეც აყვავდება, კიდეც ნაყოფს მოისხამს: თუ მისი ნაყოფი ხელთ იგდე, ერთი გაკვნეტა და მორჩა! სიღარიბე იმწამსვე ჩამოგეცლება სამუდამოდ! ვინ უთხრა, ვინ ჩაგონა, დღესაც არ ვიცი! ეს კია, რომ იანგრის დამებში, როცა ყინვით ცა გასკდომაზეა, ხშირად დახეტიალობდა დაკონკილი ელიოზი ტყეში, მარტოდ-მარტო, ცის გახსნისა და იმ ნატვრის ხის ნახვის მოლოდინში.

– ან დათვისა არ გეშინიან, ან მგლისა, ან აფთრისა, რომ შიშველი ხელებით დადიხარ უდრან ტყეში?

მაგრამ ელიოზის თვალწინ მხოლოდ წითელ-ყვითლად აბრიალებული, აყვავებული ხე იდგა და სხვას ვედარას ხედავდა – ვერც საშიშს, ვერც სახიფათოს. და მისი კონკებში გამოხვეული სხეულიც, ოცნებით გახურებული, ეტყობა, ვერ გრძნობდა მოუთმენელ სიცივეს.

ცოლ-შვილი ვედრებით უშლიდა ელიოზს ტყეში სიარულს, მაგრამ მან თავისი არ დასთმო. ბოლოს შეეჩვივნენ კიდეც და თავი მიანებეს. ტყიდან დაბრუნებული შეშის გუდურას ჩამოაყოლებდა ხოლმე ხელს და ოჯახში კიდეც უხაროდათ.

– რა პქენი ელიოზ, იპოვე შენი ნატვრის ხე? – შევეკითხებოდით ღიმილით.

– ვერა, მაგრამ ვნახავ!

– ტყეში რომ ცივა, რომ ბაბანებ და თრთი ამ ფიცხელ სიცივეში?

– მაშ როგორ გინდა, შე ოჯახაშენებულო?

და აი, ერთ ზამთრის დილას, როცა სიცივეს ჭახჭახი გაუდიოდა, ტყიდან მარხილით ჩამოასვენეს გაფიჩხული ელიოზი. ნატვრის ხის ძიებაში, მის ყარაულობასა და ლოდინში, ყინვით აყვავებულ ხის ქვეშ გაყინულიყო.

– მართლაც ისეთი ლამაზი ხე ამოერჩია საწყალს, რომ იმის დანახვას არაფერი სჯობდა. ყინვას მოერთო ათასნაირი ყვავილებით, არშიებით, რუშებით, ჯინჯილებით, სულ დასურათებული იყო, – ამბობდა ტყის მცველი ბოდაველი, რომელიც შემთხვევით ზედ წასდგომოდა გაყინულ ელიოზს ბნელ ტყეში.

ასე კი იყო...

ელიოზს კუბო თავისი ფარდალალა საბძლის ფიცრებიდან შეუკრეს.

დიაკვანი ელეფთერი კიდევ ერთხელ გამოთვრა ელიოზის ქელებში და მით მორიგი ოცნება გაინადდა. მეორე დღეს მხოლოდ დარდის ამშლებლ ნაღვინეობას უჩიოდა.

საწყალი ელიოზი მაინც ვერ გაექცა შემზარავ სინამდვილეს და ოცნების ხეს შეეწირა.

პოეტები მხოლოდ ქადალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე!

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 3. რა არის II აბზაცის დანიშნულება?

- ა) ირონიული დამოკიდებულების გამოხატვა ელეფთერის მიმართ.
- ბ) ირონიული დამოკიდებულების გამოხატვა სოფლის მდვრდლის მიმართ.
- გ) განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატვა ელეფთერის მიმართ.
- დ) ჭირვეული სტუმრების დაცინვა და სისასტიკის დაგმობა.

(1) 4. როგორი იყო სოფლის მდვრდლის განწყობა ელეფთერის მიმართ?

- ა) აღშფოთებული იყო იმით, რომ ელეფთერი სოფლის სტუმრებს უკადრისად ექცეოდა.
- ბ) კმაყოფილი იყო იმით, რომ ელეფთერი სასულიერო პირის საკადრისად იქცეოდა.
- გ) უკმაყოფილო იყო იმით, რომ ელეფთერი სასულიერო პირისათვის შეუფერებლად იქცეოდა.
- დ) აღფრთოვანებული იყო იმით, რომ ელეფთერი სადვოო წერილს ემოციურად კითხულობდა.

(1) 5. III აბზაცის მიხედვით, როგორი კაცი იყო ელეფთერი?

- ა) მხოლოდ სულის გადარჩენისათვის იღვწოდა.
- ბ) მკაცრი ზნეობრივი პრინციპებით ცხოვრობდა.
- გ) ფანტაზიორი, მეოცნებე კაცი იყო.
- დ) დროსტარების მოყვარული კაცი იყო.

(1) 6. რომელ სტრიქონში იყენებს აგტორი მხატვრულ საშუალებას?

- ა) „...დიდი სიყვარულით, რიხითა და ხმის ამაღლებით წარმოსთქმამდა“.
- ბ) „დიაკვანი ელეფთერი ღვინის კაცი უფრო იყო, ვიდრე სულისა, თავქქიფა, ლხინიკო“.
- გ) „წირვა-ლოცვაზე სადვოო წერილს სულ უდიმდამოდ, ლუდლუდით ჩაიკითხავდა“.
- დ) „ეს ის ელეფთერია, რომელსაც სწორედ გასულ თვეს სცემეს კეტებით“.

(1) 7. რატომ არ სურდა ელიოზს, რომ: „სულ ცოცხალი ყოფილიყო“?

- ა) არ სურდა დვითის ნების წინააღმდეგ წასულიყო.
- ბ) არ სჯეროდა მარადიული ცხოვრების შესაძლებლობისა.
- გ) ახლობლების გარდაცვალების შემდეგ მარტო ვერ გაძლებდა.
- დ) სიღარიბით გატანჯული ცხოვრება მობეზრებული ჰქონდა.

(1) 8. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: „ცხოვრების სისასტიკეს მის სულში ვერ ჩაექრო ოცნების ნაპერწკალი“?

- ა) სატირა.
- ბ) სარკაზმი.
- გ) შედარება.
- დ) მეტაფორა.

(1) 9. ელიოზის რა თვისებები ჩანს მის საქციელში, ხან ოქროკვერცხას რომ ეძებდა და ხან – ნაგვრის ხეს?

- ა) გულგრილი და შემგუებელია.
- ბ) პესიმისტი და ხელჩაქნეულია.
- გ) მეოცნებე და ოპტიმისტია.
- დ) სამართლიანი და მებრძოლია.

(1) 10. როგორ შეიძლებოდა, ელიოზის აზრით, ნატვრის ხის პოვნა?

- ა) მუდმივი მარხვითა და ლოცვით.
- ბ) სხვა ქვეყნების მოვლითა და მოგზაურობით.

- გ) ახლობლებისა და ოჯახის დახმარებით.
- დ) დიდი გაჭირვების მოთმენითა და მონდომებით.

- (1) 11. **რატომ უშლიდა ცოლ-შვილი ელიოზს ტყეში სიარულს?**
- ა) მეოცნებე ელიოზი შეიძლება ტყეში სიცივისაგან გათოშილიყო.
 - ბ) ნატვრის ხეს ელიოზი ასე ვერ იპოვიდა.
 - გ) მათ იცოდნენ, სიდარიბეს ასე ვერაფერს უშველიდა.
 - დ) მათ ერჩივნათ, ელიოზს ხვნა-თესვისათვის მოეკიდა ხელი.

- (1) 12. **რატომ უხაროდათ ოჯახში ელიოზის ტყეში სიარული?**
- ა) საშინაო საქმეებში ოჯახს ხელს უშლიდა.
 - ბ) სწამდათ, რომ აუცილებლად იპოვიდა ნატვრის ხეს.
 - გ) ტყიდან ელიოზს შეშა ჩამოჰქონდა ხოლმე.
 - დ) სიდარიბის დაძლევის სხვა გზას ვერ ხედავდნენ.

- (1) 13. **ტექსტის რომელ მონაკვეთში ჩანს, რომ საზოგადოება ირონიით უყურებდა ელიოზს?**
- ა) „– განა შენისთანებს მიესვლებათ ვეშა-წყაროსთან?! – და თვალები გადაუბრიალა“.
 - ბ) „– მაშ, ეს კი არ იცი, შენ, ძმაო, დადონებულო... რომ ვეშა-წყარო უკვდავების წყალია?!“.
 - გ) „– რა ჰქენი ელიოზი, იპოვე შენი ნატვრის ხე? – შევეკითხებოდით ღიმილით“.
 - დ) „– ტყეში რომ ცივა, რომ ბაბანებ და თრთი ამ ფიცხელ სიცივეში?“

- (1) 14. **რომელ მონაკვეთში ჩანს, რომ ელეფთერს დიდად არ ადარდებდა ელიოზის გარდაცვალება?**
- ა) „შემთხვევით ზედ წასდგომოდა გაყინულ ელიოზს ბნელ ტყეში“.
 - ბ) „მეორე დღეს მხოლოდ დარდის ამშლელ ნაღვინეობას უჩიოდა“.
 - გ) „დიაკვანი ელეფთერი განაწყენებული შესცემოდა ელიოზს“.
 - დ) „განა შენისთანებს მიესვლებათ ვეშა-წყაროსთან?! – და თვალები გადაუბრიალა“.

- (1) 15. **რასა და რას უპირისპირებს ერთმანეთს ავტორი ძირითადი სათქმელის გამოსახატავად?**
- ა) სიკეთესა და ბოროტებას.
 - ბ) რეალობასა და ოცნებას.
 - გ) ლაბრობასა და სიმამაცეს.
 - დ) ზრდილობასა და უხამსობას.

- (1) 16. **რომელ მონაკვეთში ჩანს ამ ტექსტის მთავარი სათქმელი?**
- ა) „ასეთი ლამაზი ხე ამოერჩია საწყალს, რომ იმის დანახვას არაფერი სჯობდა“.
 - ბ) „ახლა გულში ჩაედო ხერევანდის ხისა, ანუ ნატვრის ხის ნახვა და მისი ნაყოფის ჭამა“.
 - გ) „პოეტები მხოლოდ ქადალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან“.
 - დ) „ნატვრის ხის ძიებაში... ყინვით აყვავებულ ხის ქვეშ გაყინულიყო“.

- (1) 17. **რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?**
- ა) დვინის სიყვარულის.
 - ბ) სამშობლოს სიყვარულის.
 - გ) ოცნების.
 - დ) სიდარიბის.

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

კურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოს ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გათვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შევასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველოარად აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიკვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რეკლამი დატოვებულია აღგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ელოიზის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რას ეწიორება იგი).
 - იმსჯელეთ დიაკვან ელეფონის მხატვრული სახის შესახებ.
 - იმსჯელეთ, რომელ მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ ტექსტში და რა ფუნქცია ქვისრება მათ.

თქმენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შავი სამუშაოსათვის

